ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7815988

ნომერი: AR11129708

თარიღი : 17.02.2026

გაცემის თარიღი : 20.02.2026

გაცნობის თარიღი : 23.02.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი ; ქალაქი თბილისი , თბილისის საერთაშორისო აეროპორტის, შიდა ტერიტორია , (ნაკვ. 001/069 ; ქალაქი თბილისი , თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , აეროპორტი , ნაკვეთი 01/137 ; ქალაქი თბილისი , აეროპორტი , ნაკვეთი 01/138 ; ქალაქი თბილისი , თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია, (ნაკვ. 01/016) ; ქალაქი თბილისი , აეროპორტი , ნაკვეთი 01/135 ; ქალაქი თბილისი , აეროპორტი , მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ. 015.011); ქალაქი თბილისი , თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია, (ნაკვ. 15/005) ; ქალაქი თბილისი , აეროპორტი , (ნაკვეთი 15/016);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა მეზვრიშვილი პ/ნ 01028000222
- თბილისი აეროპორტის დას. კორ. 44 ბ. 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 თებერვლის №7804589 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 17 თებერვალს №AR11129708 განცხადებით მომართა გოჩა მეზვრიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026 წლის 12 თებერვლის №7804589 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური, 2026 წლის 12 თებერვლის №7804589 გადაწყვეტილებით, დაეთანხმა, №01.19.30.001.271 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ლანდშაფტური მშენებლობის განხორციელებას შესაძლებლობას.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2026 წლის 12 თებერვლის №7804589 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელი უთითებს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში საპროექტო ობიექტის მისამართი არასწორად არის დაფიქსირებული. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურში, 2025 წლის 19 დეკემბრის №AR11122162 განცხადებით, მოთხოვნილ იქნა, №01.19.30.001.271 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ლანდშაფტური მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობაზე შესაბამისი თანხმობის მიღება. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. სამსახურმა იმსჯელა საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, სამსახურის 2026 წლის 12 თებერვლის №7804589 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, ტექნიკური შეცდომის შედეგად, საპროექტო ობიექტის მისამართი არასწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 თებერვლის №7804589 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 თებერვლის №7804589 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება №01.19.30.001.271 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ლანდშაფტური მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობაზე თანხმობის მიღებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის სამშენებლო სამუშაოებს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მათ შორის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება №01.19.30.001.271 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის საზღვრებში ლანდშაფტური მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის დემონტაჟის საკითხი წინასწარ იქნეს შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან.

მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.“.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 თებერვლის №7804589 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 თებერვლის №7804589 გადაწყვეტილებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge